აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის

დადგენილება №4

2024 წლის 19 ივნისი

ქ. ბათუმი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 1 მაისის №18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად,

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ტექნიკური და სამშენებლო ლაბორატორიის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2012 წლის 1 მაისის №18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/05/2012, 040030000.32.057.016087) და დადგენილებით დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდგეგი რედაქციით:

„დ) მომსახურება გაუწიოს ფიზიკურ და იურიდიულ პირებს მათთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შესაბამისი ანაზღაურებით, ხოლო სახელმწიფო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტების ორგანოებს – უსასყიდლოდ, გარდა დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“, „ვ“, „ვ^{1}“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურებისა. სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს წერილობითი მიმართვის საფუძველზე, დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“, „ვ“, „ვ^{1}“ და „ლ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კონკრეტული მოცულობის მომსახურებას ლაბორატორია ახორციელებს უსასყიდლოდ;“;

ბ) დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ,,დ^{1}“ ქვეპუნქტი:

„დ^{1}) მონაწილეობა მიიღოს დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„კ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მომსახურების განსახორციელებლად შესაბამის ტენდერებში;“.

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე**